საქართველოს გენერალური პროკურატურა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში

ანგარიში მომზადებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

2026

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 2

1 **არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამა და პროგრამის 2025 წლის შედეგები** 4

1.1. 2010-2025 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა ზოგადი სტატისტიკა და განრიდებისა და დევნის თანაფარდობა 4

1.2. 2025 წელს განრიდებულ პირთა სტატისტიკა დანაშაულთა კატეგორიისა და სახის მიხედვით 10

1.3. მედიაციის მაჩვენებელი 2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ 14

1.4. 2025 წელს განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში 16

1.5. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა 18

1.6. 2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვნებთან გაფორმებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა, განრიდების ფარგლებში გამოყენებული ღონისძიებები და განრიდების ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი 20

2 **არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შედეგები** 23

2.1. 2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ზოგადი სტატისტიკა 23

2.2. 2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიებისა და სახის მიხედვით 26

2.3. 2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები 28

2.4. 2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები 30

3 **შეჯამება - 2025 წლის ძირითადი ტენდენციები** 32

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა წარმოადგენს.

სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად, საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ყოველწლიურად აანალიზებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგებს.

ანალიტიკური კვლევები ხელს უწყობს სისხლის სამართლის პოლიტიკა დაიგეგმოს და განხორციელდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით. ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ძირითადი სტატისტიკური ინფორმაცია დანაშაულის სახის, კატეგორიის, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის და სქესის მიხედვით. მონიტორინგის შედეგები ასევე, შესაძლებლობას იძლევა, დამუშავდეს ინფორმაცია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილების დროულობის, განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში დანაშაულის განმეორებით ჩადენის, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ვადებისა და ხელშეკრულების პირობების, ასევე, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოკვეთისა და შემდგომი, სწორი პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა.

1. არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა და პროგრამის 2025 წლის შედეგები

1.1. 2010-2025 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა ზოგადი სტატისტიკა, განრიდებისა და დევნის თანაფარდობა

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევაზე რეაგირება უნდა ეფუძნებოდეს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანს, რასაც სისხლისსამართლებრივ სასჯელზე უკეთ, ხშირ შემთხვევაში, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და დანაშაულის გაცნობიერებაზე დაფუძნებული პასუხიმგებლობის ფორმები უზრუნველყოფს. საერთაშორისო პრაქტიკითა და საერთაშორისო სტანდარტებით ერთ-ერთ ასეთ მექანიზმად აღიარებულია განრიდების მექანიზმი.[1]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მკაფიოდ ადგენს, რომ განრიდება ეს არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ამდენად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მიზანია დაეხმაროს არასრულწლოვანს დანაშაულის გაცნობიერებასა და საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის აღებაში. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ განრიდებას სწორედ მაშინ იყენებს პროკურორი, როდესაც ის სისხლისსამართლებრივ დევნაზე უკეთ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა/18-დან 21 წლამდე ასაკის პირმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პროკურორის მიერ პირველ რიგში განიხილება განრიდების შესაძლებლობა, რა დროსაც პროკურორი აფასებს, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.[2]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ მნიშვნელოვანია დაბალანსებული, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელება. მნიშვნელოვანია პრიორიტეტულად განიხილებოდეს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა, რადგან განრიდება/განრიდება და მედიაცია ეფუძნება არასრულწლოვნის ინდივიდუალურ საჭიროებებს, ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მართლშეგნების ამაღლებას, უფრო ეფექტიანად უზრუნველყოფს მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას, აძლევს შესაძლებლობას ცხოვრება განაგრძონ ნასამართლობის გარეშე. ამასთან, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები ეფუძნება რა აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებს, მაქსიმალურად ითვალისწინებს დაზარალებულის ინტერესებს.

[1] იხ.: საქართველოს პროკურატურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების 2024 წლის შედეგების ანგარიში. გვ. 3-6. // https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpdFrO3a.pdf

[2] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 3. მე-7 ნაწილი; მუხლი 8. მე-2 ნაწილი. მუხლი 38. 1-ლი ნაწილი.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვა საქართველოში 2010 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო და დღემდე პროგრამის გაუმჯობესების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა.

განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია კვლავ გაგრძელდეს მუშაობა სერვისების მოძიებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის ერთ-ერთ გამოწვევას ასევე წარმოადგენს არასრულწლოვანზე მორგებული ფორმით, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის არსისა და მიზნების შესახებინფორმირება. ამ მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ შემუშავდა საინფორმაციო ბროშურები, რომელთა დაბეჭვდის შემდეგ განსარიდებელს დამატებით ექნება შესაძლებლობა წერილობით გაეცნოს განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის შესახებ დეტალურ ინფორმაცის.

არასრულწლოვანთა/18-დან 21 წლამდე პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნის მისაღწევად, საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყენებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს. განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე განრიდებულ არასრულწლოვანთა/18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი შემდეგია: 2010-2025 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის სულ 9756 პირი განრიდდა, საიდანაც 5954 (61%) იყო არასრულწლოვანი, ხოლო 3802 (39%) - 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი. 2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა სულ 905 პირის მიმართ, საიდანაც 581(64%) პირი იყო არასრულწლოვანი, ხოლო 324 (36%) - 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2024 წელს დაფიქსირდა და 674 შეადგინა.

განრიდებულ პირთა მონაცემები გაანალიზდა სქესის მიხედვით. 2025 წელსაც, გასული წლების მსგავსად, განრიდება უმეტესად მამრობითი სქესის არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა მიმართ იქნა გამოყენებული. კერძოდ, 2025 წელს განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან 525 (90%) იყო მამრობითი სქესის, ხოლო 56 (10%) - მდედრობითი. 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებული 324 პირიდან 287 (89%) მამრობითი, ხოლო 37 (11%) - მდედრობითი სქესის იყო.

მდედრობითი სქესის პირთა მიმართ განრიდების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაბალია გოგონათა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. სტატისტიკური მონაცემები გაანალიზდა მოქალაქეობის მიხედვითაც. 2025 წელს განრიდებული 14-დან 21 წლამდე ასაკის 905 პირიდან 3 არასრულწლოვანი იყო რუსეთის მოქალაქე, 1 არასრულწლოვანი - თურქეთის მოქალაქე, 1 არასრულწლოვანი - ბულგარეთის მოქალაქე, ხოლო 900 საქართველოს მოქალაქე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 და 38-ე მუხლები მიუთითებენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენების პრიორიტეტულობაზე. აღნიშნული გულისხმობს პროკურორის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განრიდების გამოყენების შესაძლებლობის განხილვას. პროკურორი არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ იღებს, როდესაც დარწმუნდება, რომ განრიდება-მედიაცია ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას პროკურორი, სისხლის სამართლის საქმეში არსებულ გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასებით გამოკვეთილ რისკებსა და დამცავ ფაქტორებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წლიდან (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. პანდემიიდან გამომდინარე გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით 3%-ით იყო შემცირებული, თუმცა 2021 წელს კვლავ აღდგა განრიდების გამოყენების ზრდის დინამიკა და რაოდენობრივ მაჩვენებელთან ერთად მოიმატა არასრულწლოვანთა განრიდების ხვედრითმა წილმაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან მიმართებით. კერძოდ, 2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 610, საიდანაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 363 (59%) არასრულწლოვანი, ხოლო 2022 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 927, საიდანაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 585 (63%) არასრულწლოვანი. 2023 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 1010 არასრულწლოვანს შეადგენდა, საიდანაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 544 (54%).

2024 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური რაოდენობა 1164 პირს შეადგენს, საიდანაც განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 674 არასრულწლოვანი (58%).

2025 წელს აღნიშნული მონაცემები შეცვლილია და ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა მცირედით აღემატება განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობას. კერძოდ, 2025 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური რაოდენობა 1169-ს შეადგენს, საიდანაც განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 581 არასრულწლოვანი (49,7%).

არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობრივი მაჩვენებელი



არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცენტული მაჩვენებელი



როგორც აღინიშნა, 2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა მცირედით აღემატება განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობას. ამასთან, მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბრალდებულ არასრულწლოვანთა გარკვეული რაოდენობა (77%) არ აკმაყოფილებდა განრიდების გამოყენებისთვის კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს, რის გამოც პროკურორს ობიექტურად არ ჰქონდა განრიდების გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

2025 წელს, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, განრიდების პრიორიტეტულად გამოყენებას ადასტურებს მონაცემი, რომლის მიხედვითაც განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან (717 პირი), რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება 81%-ის (581 პირი) მიმართ მიიღო.

2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იმ პირთა საერთო რაოდენობიდან (717), რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს



აღსანიშნავია, რომ 2021, 2022, 2023, და 2024 წლებში განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, განრიდების მაჩვენებელი სტაბილურად 80%-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 75% იყო. ამდენად, 2020 წელთან შედარებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში, სტაბილურად შენარჩუნდა მინიმუმ 5%-იანი მატება, რაც ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ.

2020-2025 წლებში განრიდების ხვედრითი წილი იმ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც კანონით დადგენილ განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ



განრიდების მიზნების ეფექტიანად მისაღწევად მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნის განრიდება მოხდეს სამართალწარმოების საწყის ეტაპზევე და რაც შეიძლება მალე ჩაერთოს შესაბამის სერვისებში. პრაქტიკაში არის ერთეული შემთხვევები, როდესაც პროკურორს განრიდების გადაწყვეტილების მიღება უწევს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, თუმცა არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პრიორიტეტულად გამოყენებას ცალსახად ადასტურებს განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელი.

2025 წლის მონაცემებით, 581 განრიდებული არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 11 (2%) არასრულწლოვნის მიმართ იყო დაწყებული.

11 არასრულწლოვნიდან, 3-ის მიმართ დანაშაულის აღიარების შემდეგ, გამოძიების ეტაპზევე იქნა განრიდების გადაწყვეტილება მიღებული, დანარჩენი 8 არასრულწლოვნიდან, 3 არასრულწლოვანი, რომელთაც სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, დანაშაულს არ აღიარებდა, ერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ოჯახური ძალადობის ფაქტზე, ერთ შემთხვევაში სახეზე იყო სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენის იარაღად გამოყენებული იყო დანა. ერთ შემთხვევაში, სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, არასრულწლოვანთა შორის კონფლიქტის ხასიათიდან და ძალადობის სახიდან გამომდინარე, პროკურორმა მიიღო დევნის დაწყების გადაწყვეტილება, ხოლო, 2 არასრულწლოვნის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მიყენებული ზიანის ოდენობისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტზე.

რაც შეეხება განრიდების მიზნით სასამართლოდან არასრულწლოვანთა საქმეების პროკურატურისთვის დაბრუნების მაჩვენებელს, 2025 წელს განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან, სასამართლოდან დაბრუნდა მხოლოდ 9 (1,5%) არასრულწლოვნის საქმე.

2025 წელს სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმის დაბრუნების მაჩვენებელი შემცირებულია და 1,5%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2024 და 2023 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი იყო 2%, 2022 წელს - 3%, 2021 წელს - 5%, ხოლო 2020 წელს – 9%.

სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებულ საქმეთა მაჩვენებელი



1.2. 2025 წელს განრიდებულ პირთა სტატისტიკა დანაშაულთა კატეგორიისა და სახის მიხედვით

განრიდება არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე გამოიყენება.

2025 წელს, 14-დან 21 წლამდე განრიდებული 905 პირიდან, განრიდება გამოყენებულ იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი 458 პირის მიმართ, ე.ი. 2025 წელს 51% პირი განრიდებულ იქნა მძიმე კატეგორიის, ხოლო 49% - ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე.

2021 წლიდან ფიქსირდება მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდების გამოყენების მზარდი ტენდენცია. ეს მაჩვენებელი 2021-2023 წლებში 42%-დან 45%-მდე მერყეობდა. თუმცა 2023 წელს 14-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირებში მძიმე კატეგორიის დანაშაულზე

2020-2025 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთაგან მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების პროცენტული მაჩვენებელი



განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 2%-ით იყო შემცირებული. 2024 წელს კი, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 47%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ამავე კატეგორიის დანაშაულზე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელს.

კერძოდ, 581 განრიდებული არასრულწლოვნიდან 343 (59%) განრიდდა მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის 324 განრიდებულიდან მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდდა - 115 პირი (35%).

2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი მძიმე კატეგორიის დანაშაულზე



დანაშაულის კატეგორიის გარდა, საინტერესოა, როგორია განრიდების გამოყენების მაჩვენებელი დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევებში. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, 2025 წელს განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდდა 165 (28%) პირი, ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 324 პირიდან - 50 (15%).

2025 წელს, დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 165 არასრულწლოვნიდან, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა ჩადენილი ჰქონდა 43 პირს, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 42-ს, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 80 არასრულწლოვანს. 2025 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის 50 პირიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა ჩადენილი ჰქონდა 24-ს, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 8-ს, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 18 პირს.

2025 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდების მაჩვენებელი



2025 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებულ პირთა მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით



ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენება ყველაზე ხშირად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ხდება, რომელთაგან ძირითად შემთხვევებში სახეზე გვაქვს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ქურდობა. 2025 წელს განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 377 (65%) არასრულწლოვანს.[3] არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების დეტალური სტატისტიკა დანაშაულების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამებზე.[4]

[3] მითითებული მაჩვენებელი მოიცავს, როგორც სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1 ეპიზოდს, ასევე, დანაშაულთა ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 2 ან მეტ ეპიზოდს, ან სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელსაც.

[4] გრაფიკზე ასახული მონაცემები არ წარმოადგენს უნიკალური პირების რაოდენობას და დათვლილია დანაშაულების მიხედვით. მაგალითად, თუ 1 პირი განრიდდა სსკ-ის 126 და სსკ-ის 151-ე მუხლებით (დანაშაულთა ერთობლიობა), აღნიშნულ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება სსკ-ის ორივე მუხლთან მიმართებით.

2025 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი დანაშაულთა მიხედვით



რაც შეეხება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, მონაცემები შემდეგია:[5]

2025 წელს 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი დანაშაულების მიხედვით



[5] გრაფიკზე ასახული მონაცემები არ წარმოადგენს უნიკალური პირების რაოდენობას და დათვლილია დანაშაულების მიხედვით. მაგალითად, თუ 1 პირი განრიდდა სსკ-ის 126 და სსკ-ის 151-ე მუხლებით (დანაშაულთა ერთობლიობა), აღნიშნულ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება სსკ-ის ორივე მუხლთან მიმართებით.

1.3. მედიაციის მაჩვენებელი 2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ

არასრულწლოვანთა განრიდება აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომებს ეფუძნება. აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა მედიაცია, ხელს უწყობს პროცესში დაზარალებულის აქტიურ ჩართულობას, მისი ინტერესების გათვალისწინებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დაზარალებულის კმაყოფილებას და ზრდის მართლმსაჯულების სისტემისადმი ნდობას. სწორედ ამიტომ, საქართველოს პროკურატურა აქტიურად უჭერს მხარს განრიდების ფარგლებში მედიაციის კომპონენტის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საუკეთესო ინსტრუმენტის გამოყენებას.

მედიაციის შესახებ მონაცემების დამუშავება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინაციით ხდება. მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირებში 2021 წელს, გასულ წლებთან შედარებით მედიაციის გამოყენების 24%-იანი მატების ტენდენცია დაფიქსირდა და შეადგენდა 65%-ს. 2022 წლიდან 2024 წლამდე მედიაციის მაჩვენებლები ყოველწლიური კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და 2024 წელს შეადგინა 46%, ხოლო 2025 წლის მონაცემებით, მედიაციის მაჩვენებელი კვლავ მომატებულია და 52%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 18-დან 21 წლამდე პირთა მედიაციის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება არასრულწლოვანთა მედიაციის მაჩვენებელი. კერძოდ, 2020 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი 47%-ს შეადგენდა, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთა მიმართ - 40%-ს. 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი იყო 69%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთა მიმართ - 61%. 2022 წელს მონაცემები თითქმის გათანაბრდა. კერძოდ, 2022 წელს მედიაციის მაჩვენებელი განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ შეადგენდა 60%-ს, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ - 61%-ს. 2023 წლის მონაცემებით, არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი 56% იყო, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ - 48%. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი იყო 50%, ხოლო 18-დან და წლამდე ასაკის პირთა მიმართ - 39%. 2025 წლის მონაცემებით, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის გამოყენების მაჩვენებელი 58%-ს, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მედიაციის მაჩვენებელი - 44 %-ს შეადგენს.

2025 წელს კვლავ მოიმატა მედიაციის გამოყენების მაჩვენებლელმა, რაც დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ მედიაციის კონფერენცია და დაზარალებულთან პირისპირ შეხვედრა ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებასა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას.

არასრულწლოვანთა/18-დან 21 წლამდე პირთა მიმართ მედიაციის გამოყენების ერთიანი მაჩვენებელი



მედიაციის გამოყენების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში და 18-დან 21 წლამდე პირებში



1.4. 2025 წელს განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში

მნიშვნელოვანია მონაცემების ანალიზი განხორციელდეს რეგიონულ ჭრილშიც. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება, გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით, საქართველოს პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად ხდება. არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისის მასშტაბით დაფიქსირდა, თუმცა ასაკობრივ ჭრილში მონაცემები განსხვავებულია და 2025 წლის მონაცემებით ყველაზე მეტი არასრულწლოვანი შიდა ქართლის რეგიონში იქნა განრიდებული. დეტალური ინფორმაცია, რეგიონული განფენილობის მიხედვით არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების შესახებ შემდეგია:

2025 წელს 14-დან 18 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში



2025 წელს არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში



ასევე მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, როგორია არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა რეგიონულ ჭრილში. მონაცემების თანახმად, აჭარისა და თბილისის გარდა ყველა სხვა რეგიონში განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით არასრულწლოვანთა განრიდების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2025 წელს თბილისში დაფიქსირდა.

საქართველოს პროკურატურის მიზანია ცალკეულ რეგიონში კრიმინოგენული ვითარების გათვალისწინებით უზრუნველყოს სწორი პოლიტიკის განხორციელება, რაც ემსახურება განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. 2025 წელს თბილისის მასშტაბით გამოიკვეთა არასრულწლოვანთა მიერ ჯგუფური ძალადობრივი, ასევე, განმეორებითი დანაშაულის ჩადენა, რამაც თბილისში განაპირობა კანონთან კომფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებლის ზრდა.

2025 წელს თბილისსა და რეგიონებში არასრულწლოვანთა განრიდების პროცენტული მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივ დევნასთან შეფარდებით



1.5. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა

არასრულწლოვანთა მიმართ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი აღნიშნულ ვალდებულებას მკაფიოდ განსაზღვრავს და განმარტავს, რომ ყოველი ბავშვის მიმართ, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კომპეტენტურმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. ბავშვის საუკეთესო ინტერესი ბავშვის ქცევაზე დროული რეაგირების აუცილებლობას გულისხმობს. სწორედ ამიტომ, პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილებები დროულად იქნეს მიღებული, რათა არასრულწლოვანი რაც შეიძლება მალე ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც, თავის მხრივ, განრიდების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. რაც უფრო დროულია რეაგირება, მით უფრო მარტივია არასრულწლოვანმა გაიაზროს მის მიერ ჩადენილი ქმედება, გააცნობიეროს დამდგარი შედეგი და აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში და ყოველწლიურად ხდება გაანალიზება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენიდან და სისხლის სამართლის საქმეზე დევნის დაწყების საფუძვლის გამოკვეთიდან რა ვადაში იქნა მიღებული არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილება.

2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 84% შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დანაშაულის ჩადენიდან სამი თვის ვადაში (მათ შორის, 61% შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დანაშაულის ჩადენიდან პირველივე თვეს). 2024 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 81%-ს , ხოლო, 2023 წელს 78%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 92%-ის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის გამოკვეთიდან პირველი სამი თვის ვადაში მიიღეს (მათ შორის, 84%-ის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნიდან პირველივე თვეს იქნა მიღებული). 2024 წელს ეს მონაცემი 91%-ს, ხოლო 2023 წელს 89%-ს შეადგენდა.

დანაშაულის ჩადენიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი



ბრალდებულად ცნობის საფუძვლის გამოკვეთიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი



1.6. 2025 წელს განრიდებულ არასრულწლოვნებთან გაფორმებული განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა, განრიდების ღონისძიებები და ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი

პროკურორის მიერ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ მომზადებული ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში, მედიატორთან ერთად, არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების, სოციალური გარემოს, დანაშაულის გაცნობიერების ხარისხის და სხვა რისკ და დამცავი ფაქტორების გათვალისწინებით. სწორად შერჩეული განრიდების ღონისძიებები, ინდივიდუალური შეფასებით გამოკვეთილი დამცავი ფაქტორების გაძლიერებით, უზრუნველყოფს რისკ-ფაქტორების შემცირებას, ბავშვის მიერ ჩადენილი ქმედების გააზრებას, მავნე ქცევების დაძლევას, ძლიერი მხარეების მოტივაციას, ბავშვის უნარების გაუმჯობესებას და პასუხისმგებლობის გააზრებას.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ღონისძიებებთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ხანგრძლივობის სწორად განსაზღვრა. კანონმდებლობის თანახმად, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს 12 თვემდე ვადით. ხელშეკრულების ხანგრძლივობა უნდა იძლეოდეს განრიდების პირობების დროში სწორად გადანაწილების შესაძლებლობას, რომელთა შესრულების ვალდებულებაც განრიდების პროგრამის ფარგლებში განსარიდებელს ეკისრება. ვალდებულებები უნდა შეესაბამებოდეს განსარიდებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და ემსახურებოდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანს.

განრიდებულთა მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ 2025 წელს განრიდებულთა დიდ ნაწილს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება 4-6 თვის ვადით გაუფორმდათ. მინიმალური - 1 თვის ვადით არცერთ არასრულწლოვანთან არ ყოფილა ხელშეკრულება გაფორმებული, ხოლო მაქსიმალური 12 თვის ვადით ხელშეკრულება გაფორმდა მხოლოდ 1 არასრულწლოვანთან.

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა



განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ვადასთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია იმ სერვისების მიმოხილვა, რაშიც არასრულწლოვნები ერთვებიან განრიდების პროგრამის ფარგლებში. არასრულწლოვნებისთვის შეთავაზებული სერვისები და ვალდებულებები აერთიანებს საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, ფსიქო-სარეაბილიტაციო და საზოგადოებისათვის სასარგებლო სხვა აქტივობებს.[6]

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებებში ასახული ინფორმაციის საფუძველზე გაანალიზდა ხელშეკრულებების პირობები. ხელშეკრულებები არ იძლევა ცალკეული სერვისის დეტალურ აღწერას, რის გამოც შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, თუ რა სახის აქტივობებს მოიცავს კონკრეტული ვალდებულება. (მაგალითად: მოხალისეობრივი აქტივობის ფარგლებში სად და რა სახის საქმიანობა უნდა განახორციელოს არასრულწლოვანმა, კვირაში რამდენჯერ, რამდენი საათი მოუწევს მოხალისეობრივი აქტივობის განხორციელება და ა.შ.)

როგორც წესი, არასრულწლოვანთა მიმართ კომპლექსურად ხდება განრიდების სხვადასხვა პირობის გამოყენება. მონაცემების ანალიზის თანახმად:

- განრიდებულ არასრულწლოვანთან განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობად ყველაზე ხშირად გამოიყენება მოხალისეობრივ აქტივობაში ჩართვა. კერძოდ, 581 განრიდებული არასრულწლოვნიდან 482-ის (83%) მიმართ განრიდების პირობად სწორედ მოხალისეობრივი აქტივობა იქნა გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობად მოხალისეობრივი აქტივობის განსაზღვრის შემთხვევაში, შეთავაზებულია ალტერნატივა, რომლის თანახმადაც, მოხალისეობრივი აქტივობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა ღონისძიებით, მაგალითად, ესეს დაწერით.
- მაღალია განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვის მაჩვენებელიც. 581 განრიდებული არასრულწლოვნიდან 451 (78%) ჩაერთო სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამაში („დანაშაულის გააზრება," „მომავლის დაგეგმვა," „ცხოვრებისეული ფასეულობები" და სხვა.). ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანი ერთობლივად ერთვება 2 ან მეტ სარეაბილიტაციო პროგრამაში.
- საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში ჩაერთო 131 (23%) არასრულწლოვანი. მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის აქტივობები გააქტიურდეს საგანმანათლებლო სისტემასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინაციით.
- 581 არასრულწლოვნიდან ფსიქოლოგიური კონსულტაცია გაეწია 106 პირს (18%).
- 171 (29%) არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ისეთი აქტივობა, როგორიც არის წიგნში „სამართლის ქალაქი" შესაბამისი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცნობა და პრეზენტაციის მომზადება.

[6] სერვისების დეტალური აღწერა იხილეთ საქართველოს პროკურატურის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების 2024 წლის ანგარიშში. გვ.: 29-30.// https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpyPMUpV.pdf

- 257 (44%) განრიდებული არასრულწლოვნისთვის შერჩეული პირობა ითვალისწინებდა ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებისა და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის შესახებ ესეს დაწერას.

რაც შეეხება განრიდებული არასრულწლოვნების მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელს, 2025 წლის მონაცემების მიხედვით, სულ განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 28 პირმა (4,8%).

2025 წლის მონაცემებით, 12-მა არასრულწლოვანმა არ შეასრულა განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საიდანაც 1 შემთხვევაში შეწყდა განრიდების პროცესი, ხოლო 11 შემთხვევაში პროკურორმა მიიღო გადაწყვეტილება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ.

საქართველოს პროკურატურა 3-წლიანი პერიოდულობით იკვლევს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის კვლევა 2025 წელს განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელდა. სამომავლოდ განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის ანალიზი ყოველწლიურად განხორციელდება.

2. არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შედეგები

2.1. 2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ზოგადი სტატისტიკა

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, პროკურორს უწევს არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი ძირითად შემთხვევაში ხდება ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ვერ აკმაყოფილებს განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს. თუ არასრულწლოვანი აკმაყოფილებს განრიდების კრიტერიუმებს, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა განრიდება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნების მიღწევას. ისეთ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანი აკმაყოფილებს განრიდების კრიტერიუმებს, თუმცა ამის მიუხედავად არ ხდება მისი განრიდება, პროკურორი მიღებულ გადაწყვეტილებას ასაბუთებს განრიდებაზე უარის თქმის ოქმში.

2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 588 არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო, რაც აჩვენებს, რომ გასულ წელთან შედარებით, 2025 წელს კვლავ გაზრდილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. წლების მიხედვით არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების რაოდენობრივი მაჩვენებელი დინამიკაში ასეთია:

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით



დევნის დაწყების რაოდენობრივი ზრდა არ უკავშირდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ განრიდების გამოყენების შემცირებას. პროკურორები არასრულწლოვანთა მიმართ კვლავ პრიორიტეტულად იყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, რასაც ადასტურებს ანგარიშის პირველ თავში არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობის შესახებ მოცემული ინფორმაცია. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის ზრდა განპირობებულია ბრალდებულ არასრულწლოვნებში იმ არასრულწლოვანთა მაღალი ხვედრითი წილით, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ. ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის მატება პირდაპირ მიუთითებს არასრულწლოვანთა მიმართ პირველი და მეორე დონის პრევენციის გააქტიურების აუცილებლობაზე, რათა ბავშვები ნაკლებად მოვიდნენ შემხებლობაში მართლმსაჯულების სისტემასთან.

არასრულწლოვანთა ნაწილი მიდრეკილია განმეორებითი დანაშაულის ჩადენისკენ, რის გამოც შესაძლებელია ერთი და იმავე არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებაზე დევნა განხორციელდეს სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. აღნიშნულის გამო, სხვადასხვა საქმის ფარგლებში დევნის დაწყების შემთხვევაში მონაცემები დათვლილია ცალ-ცალკე და არ ემთხვევა უნიკალურ პირთა რაოდენობას.

დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრის მიზნით მოხდა აღნიშნული შემთხვევების იდენტიფიცირება და განისაზღვრა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთა (არასრულწლოვანთა) უნიკალური რაოდენობა.

მონაცემების ანალიზის მიხედვით, 2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 588 არასრულწლოვნის მიმართ, საიდანაც 315 არასრულწლოვნის მიმართ დევნა დაიწყო 1 საქმის, 77 არასრულწლოვნის მიმართ 2 საქმის, 25 ბავშვის მიმართ - 3 საქმის, 7 ბავშვის მიმართ - 4 საქმის, 2 ბავშვის მიმართ - 5 საქმის, ხოლო 1 ბავშვის მიმართ - 6 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ერთ ან რამდენიმე საქმეზე



2025 წელს, 588 არასრულწლოვანი ბრალდებულიდან 583 - იყო საქართველოს, 2 - თურქეთის, 1 - ეგვიპტის, 1 - ისრაელის, ხოლო 1 - ტაჯიკეთის მოქალაქე.

2025 წლის მონაცემებით, ბრალდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: 554 იყო მამრობითი, ხოლო 34 - მდედრობითი სქესის.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემებს რეგიონების მიხედვით, 2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქ.თბილისისა და თბილისის რაიონულ პროკურატურებში, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში რეგიონში დაფიქსირდა. კერძოდ, 588 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, თბილისის და თბილისის რაიონული პროკურატურების მიერ დევნა დაიწყო 260 არასრულწლოვნის მიმართ, რაც არასრულელოვანთა მიმართ დევნის დაწყების საერთო რაოდენობის 44%-ს შეადგენს.

2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ 588 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 85%-ის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველ სამ თვეში იქნა მიღებული, მათ შორის, 71%-ის შემთხვევაში პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველივე თვეს მიიღო.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები ცალსახად მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოძიების წარმოება და გადაწყვეტილების მიღება დროულად, გაუმართლებელი დაყოვნებების გარეშე ხდება. აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლებში წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია პირველი 3 თვის ვადაში, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობის მაჩვენებელი. კერძოდ, 2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება 82,6%-ის მიმართ გამოძიების დაწყებიდან პირველ სამ თვეში იქნა მიღებული.

პროკურატურა აღნიშნული მიმართულებით კვლავ გააგრძელებს არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს.

დანაშაულის ჩადენიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი



2.2. 2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიებისა და სახის მიხედვით

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების გაანალიზების დროს, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს დანაშაულის კატეგორია და სახე წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, წინა წლების მსგავსად, 2025 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ დაიწყო. კერძოდ, 588 ბრალდებული არასრულწლოვნიდან სისხლისსამართლებრივი დევნა 454-ის (77%) მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, 94-ის (16%) მიმართ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 40-ის (7%) მიმართ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე დაიწყო.

2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან 277 (47%) არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულთა ერთობლიობაზე დაიწყო. მათგან, 139 (24%) არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა მძიმე კატეგორიის, 86 (15%) არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის, 32 (5%) არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე კატეგორიის, 10 (2%) არასრულწლოვანს - მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, 5 (1%) არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის, 4 (1%) არასრულწლოვანს - განსაკუთრებით მძიმე, ხოლო 1 არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა.

დანაშაულთა ერთობლიობაზე არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით



ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ყველაზე ხშირად ადგილი აქვს ქურდობის ჩადენას. 2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან 386 პირს (66%) ჩადენილი ჰქონდა სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.[7]

2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულების მიხედვით



[7] მითითებული მაჩვენებელი მოიცავს, როგორც სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1 ეპიზოდს, ასევე, დანაშაულთა ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 2 ან მეტ ეპიზოდს, ან სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელსაც. ხოლო, გრაფიკზე ასახული მონაცემები არ წარმოადგენს უნიკალური პირების რაოდენობას და დათვლილია დანაშაულების მიხედვით. მაგალითად, თუ 1 პირის მიმართ დევნა დაიწყო სსკ-ის 1261 და სსკ-ის 111-151-ე მუხლებით (დანაშაულთა ერთობლიობა), აღნიშნულ პირზე ინფორმაცია ფიქსირდება სსკ-ის ორივე მუხლთან მიმართებით.

2.3. 2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

2025 წელს, 588 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიება მოთხოვნილ იქნა 540 (92%) არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 48 (8%) არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ ყოფილა მოთხოვნილი. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილი იყო ბრალდებულ არასრულწლოვანთა 25.7%-ის მიმართ, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი, პროკურორმა იშუამდგომლა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ძირითად შემთხვევებში მოთხოვნილ იქნა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე. 9 შემთხვევაში პატიმრობა მოთხოვნილ იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, რომელთაგან 2 არასრულწლოვანი იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ, ხოლო დანარჩენს ჩადენილი ჰქონდა ძალადობრივი ხასიათის დანაშაული.

2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ პროკურატურის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:

2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებები



მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - გირაო		*358*
შეეფარდა	გირაო	279 (78%)
	აღკვეთზე საპროცესო	74 (21%)
	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	3 (1%)
	მეთვალყურეობაში გადაცემა	2 (1%)
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა		*151*
შეეფარდა	პატიმრობა	127 (84%)
	გირაო	22 (15%)
	აღკვეთზე საპროცესო	2 (1%)
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - მეთვალყურეობაში გადაცემა		*30*
შეეფარდა	მეთვალყურეობაში გადაცემა	28 (93%)
	აღკვეთზე საპროცესო	1 (3%)
	დატოვა აღკვეთის გარეშე	1 (3%)
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ		*1*
შეეფარდა	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	1

ამდენად, 2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან, პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს 540 შემთხვევაში მიმართა. სასამართლომ 463 შემთხვევაში იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო 77 არასრულწლოვანთან, პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება.

სასამართლოს მიერ განხილული 463 შუამდგომლობიდან, სრულად დაკმაყოფილდა 435 (94%), ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 27 შუამდგომლობა. სასამართლომ მხოლოდ 1 არასრულწლოვანი დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



2.4. 2025 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები

2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან, მონიტორინგის დასრულების ეტაპისთვის სამართალწარმოება დასრულებული იყო და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იყო 335 არასრულწლოვნის მიმართ, 237 არასრულწლოვნის მიმართ საქმე არსებითად განსახილველად იყო წარმართული და მიმდინარეობდა საქმის განხილვა, 11 საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება, ხოლო 5 არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმე სასამართლოდან განრიდების მიზნით დაუბრუნდა პროკურორს.

2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებები

335 არასრულწლოვნიდან, რომელთა მიმართაც დადგა განაჩენი, 1 არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი. დანარჩენი 334 არასრულწლოვნიდან 307 პირთან (92%) დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 27-ის (8%) მიმართ საქმის არსებითი განხილვის შედეგად დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

307 არასრულწლოვნიდან 171 არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო შეთანხმება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დამტკიცდა, 95 არასრულწლოვნის მიმართ - ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე, 25 არასრულწლოვნის მიმართ - წინასასამართლო სხდომაზე, ხოლო 16 არასრულწლოვნის მიმართ - გამოძიების ეტაპზე, წინასასამართლო სხდომამდე.

334 არასრულწლოვნიდან, რომელთა სისხლის სამართლის საქმეზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 246 არასრულწლოვნის მიმართ (74%) გამოყენებულ იქნა არასაპატიმრო სასჯელი. 2025 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ შეფარდებული სასჯელების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:

არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელები



3. შეჯამება - 2025 წლის ძირითადი ტენდენციები

ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა მონიტორინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დეტალურად გავაანალიზოთ არასრულწლოვანთა მართლსაჯულების ტენდენციები და დინამიკაში დავინახოთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულების შედეგები. 2025 წლის სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე გამოკვეთილი ძირითადი ტენდენციები შემდეგია:

არასრულწლოვანთა/18-დან 21 წლამდე პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება

- 2025 წელს, წინა წელთან შედარებით, 7,7%-ით შემცირებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი და შესაბამისად, გაზრდილია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.
- 2025 წელს, ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, დევნის მაჩვენებელი 0,6% აღემატება არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელს.
- იმ ბრალდებული არასრულწლოვნებიდან, რომლებიც განრიდების კანონით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 81%-ს შეადგენს. 2019-2020 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 75%, ხოლო 2021-2024 წლებში სტაბილურად 80% იყო.
- 2025 წელს სასამართლოდან არასრულწლოვნის განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი შემცირებულია და 1,5% გახლდათ. კერძოდ, 581 განრიდებულიდან სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნდა მხოლოდ 9 არასრულწლოვნის საქმე. განრიდების მიზნით არასრულწლოვანთა საქმის სასამართლოდან დაბრუნების მაჩვენებელი 2024-2023 წლებში იყო - 2%, 2022 წელს - 3%, 2021 წელს - 5%, ხოლო 2020 წელს - 9%.
- 2025 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია 14-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი და 51%-ს შეადგენს. 2024 წელს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი იყო 47%, 2023 წელს - 43%, 2022 წელს - 45%, 2021 წელს - 42%, ხოლო 2020 წელს - 32%. აღსანიშნავია, რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი 23%-ით აღემატება ამავე კატეგორიის დანაშაულზე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელს და შეადგენს 35%-ს.

- 2025 წელს, წინა წლების მსგავსად, განრიდება უმრავლეს შემთხვევებში გამოყენებულ იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ არაძალადობრივ დანაშაულებზე. კერძოდ, არასრულწლოვანთა 65% განრიდდა სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე.
- გასულ წელთან შედარებით, 2025 წელს მედიაციის მაჩვენებელმა მოიმატა და 52% შეადგინა. მედიაციის მაჩვენებელი მომატებულია, როგორც არასრულწლოვნების, ასევე, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების მიმართ. კერძოდ, 2024 წელს მედიაციის მაჩვენებელი იყო 46%, 2023 წელს - 54%, 2022 წელს - 60%, ხოლო 2021 წელს - 65%.
- 2025 წლის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები მიუთითებს, რომ პროკურორები დროულად იღებენ არასრულწლოვანთა განრიდების გადაწყვეტილებას. 2025 წელს პროკურორებმა განრიდებულ არასრულწლოვანთა 92%-ის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის გამოკვეთიდან პირველი სამი თვის ვადაში მიიღეს, მათ შორის, 84%-ის შემთხვევაში გადაწყვეტილება პირველივე თვეს იქნა მიღებული. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 91%-ს, ხოლო 2023 წელს 89%-ს შეადგენდა.
- 2025 წელს განრიდებულ პირთა მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ განრიდებულთა დიდ ნაწილს - 79%-ს განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულება 4-6 თვის ვადით გაუფორმდათ. მინიმალური - 1 თვის ვადით არც ერთ არასრულწლოვანთან არ ყოფილა ხელშეკრულება გაფორმებული, ხოლო მაქსიმალური - 12 თვის ვადით მხოლოდ 1 არასრულწლოვანთან გაფორმდა ხელშეკრულება.
- განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობების ანალიზი აჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ კომბინირებულად გამოიყენება რამდენიმე პირობა. კერძოდ, 581 არასრულწლოვნიდან მოხალისეობრივი აქტივობა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობად ყველაზე მეტ შემთხვევაში - 482 (83%) არასრულწლოვნის მიმართ განისაზღვრა. ფსიქოლოგის მომსახურება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობად 106 (18%) არასრულწლოვანთან იქნა გათვალისწინებული, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებებში კი, 451 (78%) არასრულწლოვანი ჩაერთო.
- 2025 წლის მონაცემების მიხედვით, სულ განრიდებული 581 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 28 პირმა (4,8%) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

- 2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან 85%-ის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველ სამ თვეში იქნა მიღებული, მათ შორის, 71%-ის შემთხვევაში პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველივე თვეს მიიღო.
- 2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან სისხლისსამართლებრივი დევნა 454-ის (77%) მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, 94-ის (16%) მიმართ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 40-ის (7%) მიმართ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე დაიწყო.

- 2025 წელს ბრალდებული 588 არასრულწლოვნიდან 386 პირს (66%) ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.
- 2025 წელს, 588 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიება მოთხოვნილ იქნა 540 (92%) არასრულწლოვნის მიმართ. 48 (8%) არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ ყოფილა მოთხოვნილი. პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილი იყო ბრალდებულ არასრულწლოვანთა 26%-ის მიმართ, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ მძიმე/განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული ან იმყოფებოდნენ პირობითი მსჯავრის ქვეშ.
- 2025 წელს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ სასამართლოს მიერ განხილული 463 შუამდგომლობიდან სრულად დაკმაყოფილდა 435 (94%), ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 27, ხოლო 1 არასრულწლოვანი სასამართლომ დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.
- 2025 წლის მონაცემების თანახმად, იმ 334 არასრულწლოვნიდან, რომელთა მიმართაც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 246-ის (74%) მიმართ გამოყენებულ იქნა არასაპატიმრო სასჯელი.

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

სტრატეგიული განვითარების სამმართველო

2026 წელი